განკარგულება:**g-31. 3126117001**
თარიღი:**27/04/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №16

2026 წლის 27 აპრილი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, ვადიანი სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 115-ე მუხლის პირველი ნაწილის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე 463.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის N008045925 თარიღი 2.12.2025 თანახმად, 1 კვ.მ. შეფასებულია 98 ლარად) ელექტრონული აუქციონის წესით, ვადიანი სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 5 500 (ხუთიათას ხუთასი) ლარით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი